



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

სამინისტროების ოპტიმიზაციის
შედეგები
2018 (იანვარი-მაისი)

2018 წელი

შინაარსი

ძირითადი მიგნებები.....	3
შესავალი	4
სტრუქტურული ცვლილებების გავლენა სამინისტროების ბიუროკრატიულ ხარჯებზე	5
საშტატო რიცხოვნობის ოპტიმიზაციის გავლენა ხარჯებზე.....	9
სამინისტროების ოპტიმიზაციის გავლენა ავტოპარკზე	10
შეჯამება.....	12

ძირითადი მიგნებები

- 2017 წლის დეკემბერში დაწყებულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა, 2018 წლის საწყისი 5 თვის განმავლობაში, ვერ უზრუნველყო ბიუროკრატიული ხარჯების ოპტიმიზაცია;
- 2018 წლის 5 თვის მონაცემებით, იმ სამინისტროებში, რომლებსაც 2017 წლის დეკემბერში შეეხო სტრუქტურული ცვლილებები, შრომის ანაზღაურების საერთო ხარჯები წინა წლის ანალოგიური პერიოდის ნიშნულზე იქნა შენარჩუნებული, ხოლო საქონელი და მომსახურების ხარჯები დაახლოებით 15 მილიონი ლარით გაიზარდა;
- სამინისტროების გაერთიანების შედეგად, ცენტრალური აპარატების გარკვეულწილად შემცირებულმა საშტატო რიცხოვნობამ არ განაპირობა სამინისტროს შრომის ანაზღაურების ხარჯების შემცირება. მაგალითად, კულტურისა და ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების სტრუქტურული ცვლილებების შედეგად ცენტრალური აპარატების საერთო საშტატო რიცხოვნობა 35 ერთეულით შემცირდა, თუმცა შრომის ანაზღაურების ხარჯები წინა წლის ანალოგიური პერიოდის ნიშნულზე შენარჩუნდა;
- 2018 წლის 5 თვის განმავლობაში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქონელი და მომსახურების ხარჯი 7,5 მილიონი ლარით, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტროს - 5 მილიონი ლარით გაიზარდა;
- სამინისტროების გაერთიანების შედეგად გარკვეულწილად შემცირდა ავტოპარკის მოცულობა. აღნიშნული გამოიწვია ისეთი თანამდებობების (მინისტრი, მინისტრის მოადგილე) გაუქმებამ რომლებზეც განპიროვნებული იყო ავტომობილები;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და საგარეო საქმეთა სამინისტროებმა IDFI-ს არ მიაწოდა მათი ბიუროკრატიული აპარატის ხარჯების ოპტიმიზაციასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია. ამასთან, სამინისტროების 2018 წელს დამტკიცებული საშტატო ნუსხები აღარ არის ხელმისაწვდომი საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე. აღნიშნულმა გარემოებამ, მნიშვნელოვნად გაართულა როგორც განხორციელებული ისე დაგეგმილი სტრუქტურული ცვლილებების ანალიზი.

შესავალი

საქართველოს პრემიერ მინისტრის მამუკა ბახტაძის მიერ წარმოდგენილი 2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამა „[თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა](#)“ ეფუძნება მცირე მთავრობის კონცეფციას, რაც სამთავრობო უწყებების შემდგომ გაერთიანება/ოპტიმიზაციას და ბიუროკრატიაზე გაწეული ხარჯების მაქსიმალურად შეზღუდვას ითვალისწინებს. სამთავრობო პროგრამა, ბიუროკრატის შრომის ანაზღაურების ხარჯების მშპ-სთან მიმართებით 3,9%-მდე და სახელმწიფო ავტოპარკის მოცულობის მნიშვნელოვან შემცირებას გეგმავს.

მცირე მთავრობის კონცეფციის და ბიუროკრატული ხარჯების შემცირების გეგმის ფარგლებში საქართველოს სამინისტროების რიცხვის 14-დან 11-მდე შემცირება დაანონსდა. კერძოდ, სპორტისა და კულტურის სამინისტრო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეუერთდება, სასაჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო იუსტიციის სამინისტროს, ხოლო ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო უქმდება და მის ფუნქციებს სამი სხვადასხვა სამინისტრო შეითავსებს. საქართველოს პრემიერ მინისტრის [განცხადებით](#) საქართველოს მთავრობის ზომის ქვეყნის ეკონომიკასთან მიმართებით არსებული გეგმით შემცირება 100-120 მილიონი ლარის ეკონომიას უზრუნველყოფს. თუმცა, ამ კონკრეტული სამინისტროების გაერთიანება/გაუქმებით ბიუროკრატული აპარატის ზომის და მათზე გაწეული ხარჯების შემცირების მოსალოდნელი შედეგები უცნობია.


საქართველოს მთავრობაში სტრუქტურული ცვლილებები ჯერ კიდევ 2017 წლის დეკემბერს დაიწყო როდესაც, სამინისტროების რიცხვი 18 დან 14 მდე შემცირდა. ცვლილებების განხორციელებისას საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ვერ მოხერხდა დაკონკრეტება, თუ რა თანხის დაზოგვა იგეგმებოდა სამინისტროების გაუქმება/გაერთიანების შედეგად. 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში სამინისტროების გაერთიანების მიხედვით თანხები ტექნიკურად გადანაწილდა და ოპტიმიზაციის მოსალოდნელი შედეგები არ აისახა.

სამინისტროების რეორგანიზაციის შედეგად, ბიუროკრატული ხარჯების ტენდენციების ანალიზი შესაძლებელი გახდა სახელმწიფო ხაზინის 2018 და 2017 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საწყისი 5 თვის მონაცემებით. ამასთან, IDFI-მ სამინისტროებიდან გამოითხოვა ბიუროკრატული აპარატის და მათ ხარჯების ოპტიმიზაციასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაცია.


სტრუქტურული ცვლილებების გავლენა სამინისტროების ბიუროკრატიულ ხარჯებზე

2017 წლის დეკემბერში განხორციელებული ცვლილებები შეეხო უშუალოდ 9 სამინისტროს, რომელთა გაერთიანება/გაუქმებით დარჩა მხოლოდ 5 სამინისტრო. შესაბამისად, რეორგანიზაციის შედეგების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მონაცემების მხოლოდ ამ სამინისტროების მაგალითზე წარმოჩენა. 2018 წლის 6 თვის გეგმით სტრუქტურული ცვლილებების შედეგად ფორმირებული 5 სამინისტროს ადმინისტრაციული ხარჯებისთვის (შრომის ანაზღაურება და საქონელი და მომსახურება) განსაზღვრული იყო 249,7 მილიონი ლარი, საიდანაც 5 თვის განმავლობაში ფაქტიურად ათვისებულია 186,2 მილიონი ლარი. განვლილი 2017 წლის ანალოგიურ პერიოდში იმ 9 სამინისტროს, რომლებსაც შეეხოთ სტრუქტურული ცვლილებები, ადმინისტრაციული ხარჯები შეადგენდა 171,5 მილიონს. შესაბამისად, რეფორმის საწყის ეტაპზე, 9 სამინისტროს გაუქმება/გაერთიანების შედეგად, ადმინისტრაციული ხარჯები დაახლოებით 15 მილიონი ლარით გაიზარდა.


ამ ხარჯების ზრდა უმეტესწილად განპირობებულია საქონელი და მომსახურების მუხლით გაწეული ხარჯების ზრდით, ხოლო შრომის ანაზღაურების საერთო ხარჯები წინა წლის ანალოგიური პერიოდის ნიშნულზე იქნა შენარჩუნებული. 2018 წლის 5 თვის განმავლობაში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქონელი და მომსახურების ხარჯი 7,5 მილიონი ლარით, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტროს - 5 მილიონი ლარით გაიზარდა.




სურათი#2 - ფორმირებული სამინისტროების შრომის ანაზღაურების და საქონელი და მომსახურების ხარჯები (მილიონი ლარი)




სურათი #3- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ენერჯეტიკის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და სოფლის სამინისტროების სტრუქტურული ცვლილებების ერთობლივი შედეგები (მლნ ლარი)



სურათი#4 - კულტურისა და ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის, და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების სტრუქტურული ცვლილებების ერთობლივი შედეგები (მლნ ლარი)



სურათი #5- საგარეო საქმეთა სამინისტროს და ევროკულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის სტრუქტურული ცვლილებების ერთობლივი შედეგები (მლნ ლარი)



სურათი#6 - იმ სამინისტროების ადმინისტრაციული ხარჯების მაჩვენებლები, სადაც 2017 წლის დეკემბერს განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები (ათასი ლარი)

	2017			2018	
	გეგმა (6 თვე)	ფაქტი (5 თვე)		გეგმა (6 თვე)	ფაქტი (5 თვე)
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	35 938,5	26 620,6	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	35 773,9	24 637,0
	6 288,4	5 429,5	ენერგეტიკის სამინისტრო	8 954,3	5 873,0
	29 650,1	21 191,1	გარემოს დაცვის სამინისტროს ბუნებრივი რესურსების მართვის კომპონენტი	26 819,6	18 764,0
ენერგეტიკის სამინისტრო	1 888,0	1 558,2	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	48 215,6	33 339,2
	1 283,0	1 052,7	გარემოს დაცვის სამინისტროს ბუნებრივი რესურსების მართვის კომპონენტი	24 818,0	18 626,0
	605,0	505,5	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	23 397,6	14 713,2
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	14 400,4	11 155,3	სოფლის მეურნეობის სამინისტრო		
	10 136,4	8 470,8			
	4 264,0	2 684,5			
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	25 431,0	20 028,8			
	11 037,0	8 922,8			
	14 394,0	11 106			

სულ	77 657,9 28 744,8 48 913,1	59 362,9 23 875,8 35 487,1	სულ	83 989,5 33 772,3 50 217,2	57 976,2 24 499,0 33 477,2
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	41 209,1 28 460,7 12 748,4	32 096,2 23 111,7 8 984,5	კულტურისა და სპორტის სამინისტრო	54 989,6	38 454,3
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	3 787,4 2 033,5 1 753,8	2 660,2 1 632,8 1 027,4	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო +	30 176,3 24 813,3	24 436,1 14 018,2
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	47 170,1 10 638,5 36 531,6	30 681,6 8 053,5 22 628,1	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო (სპორტის კომპონენტი)	50 531,3	38 568,2
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	47 170,1 10 638,5 36 531,6	30 681,6 8 053,5 22 628,1	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო +	10 299,3 40 232,0	8 385,6 30 182,5
სულ	92 166,6 41 132,7 51 033,8	65 438,0 32 798,0 32 640,0	სულ	105 520,9 40 475,6 65 045,3	77 022,5 32 821,7 44 200,7
საგარეო საქმეთა სამინისტრო	54 499,4 4 048,5 50 450,9	45 427,4 3 378,9 42 048,5	საგარეო საქმეთა სამინისტრო +	60 153,4	51 225,7
სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში	1 665,4 756,0 909,4	1 265,9 608,5 657,4	სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში	5 059,1 55 094,3	3 482,2 47 743,5
სულ	56 164,8 4 804,5 51 360,3	46 693,3 3 987,4 42 705,9	სულ	60 153,4 5 059,1 55 094,3	51 225,7 3 482,2 47 743,5
სულ	225 989,3 74 682,0 151 307,2	171 494,2 60 661,2 110 833,0	სულ	249 663,8 79 307,0 170 356,8	186 224,4 60 802,9 125 421,4

საშტატო რიცხოვნობის ოპტიმიზაციის გავლენა ხარჯებზე

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, დასაქმებულ თანამშრომელთა ოპტიმიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ იყო მოსალოდნელი. კერძოდ, სამინისტროების გაერთიანება/გაუქმების შედეგად ამ უწყებებში ჯამში [6 ადამიანი](#) [ნაკლებს](#) უნდა განეგრძო მუშაობა. სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული დასაქმებულთა რაოდენობრივი მაჩვენებლები, ხარჯების მსგავსად, წინასწარი გათვლების არ არსებობის პირობებში ფორმალურ ხასიათს ატარებდა და რეალური შედეგები რეორგანიზაციის დასრულების შემდეგ იყო მოსალოდნელი. სამწუხაროდ, IDFI-ს ყველა სამინისტრომ სტრუქტურული ცვლილებების შემდეგ მთავრობასთან შეთანხმებით დამტკიცებული საშტატო ნუსხები არ მიაწოდა, შესაბამისად რეორგანიზაციის შედეგად საერთო საშტატო რიცხოვნებაში ასახული ცვლილება უცნობია.

ცალკეული სამინისტროებიდან მიღებული დოკუმენტაციის მიხედვით, საქართველოს მთავრობასთან ახალი საშტატო რიცხოვნობები შეთანხმდა თებერვალ-მარტში და ცენტრალურ აპარატებში დასაქმებულთა რიცხოვნობა გარკვეულწილად შემცირდა. სამინისტროების გაერთიანების შედეგად, ცენტრალური აპარატების გარკვეულწილად შემცირებულმა საშტატო რიცხოვნობამ არ განაპირობა წინა წელთან შედარებით სამინისტროს შრომის ანაზღაურების ხარჯების შემცირება. მაგალითად, კულტურისა და ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების სტრუქტურული ცვლილებების შედეგად ცენტრალური აპარატების საერთო საშტატო რიცხოვნობა 8%-ით (35 ერთეულით) შემცირდა, თუმცა შრომის ანაზღაურება იმავე ნიშნულზე შენარჩუნდა.

სამწუხაროდ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ სხვა მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციასთან ერთად, ასევე არ იქნა მოწოდებული სტრუქტურული ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ განსაზღვრული საშტატო ნუსხები. ამასთან, აღნიშნული დოკუმენტაცია, სამინისტროების შემთხვევაში, 2018 წლის შემდეგ აღარ არის ხელმისაწვდომი საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე.

სურათი#7 - 2017 წლის დეკემბერში განხორციელებულ სტრუქტურულ ცვლილებამდე და ცვლილებების შემდეგ სხვადასხვა სამინისტროს საშტატო რიცხოვნობა

	სტრუქტურულ ცვლილებამდე მოქმედი საშტატო რიცხოვნობა		სტრუქტურულ ცვლილებების შემდეგ მოქმედი საშტატო რიცხოვნობა
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	130	კულტურისა და სპორტის სამინისტრო	187

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	100	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო +	
		სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო (სპორტის კომპონენტი)	
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	188	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო +	196
		სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო (ახალგაზრდობის კომპონენტი)	
სულ	418	სულ	383

სამინისტროების ოპტიმიზაციის გავლენა ავტოპარკზე

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სამთავრობო პროგრამა საქართველოს სახელმწიფო ავტოპარკის მნიშვნელოვან შემცირებას გეგმავს. ამასთან, საქართველოს პრემიერ მინისტრის მამუკა ბახტაძის განცხადებით, უახლოეს მომავალში წარმოდგენილი იქნება ინიციატივები სახელმწიფო ავტოპარკის ოპტიმალურ განკარგვასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ავტოპარკის ოპტიმიზაციის პროცესი ჯერ კიდევ 2014 წელს დაიწყო, რომელიც 2016 წელს უნდა დასრულებულიყო, თუმცა პროცესი მნიშვნელოვანი შეფერხებებით წარიმართა და საბოლოოდ დასახული მიზანი ვერ იქნა მიღწეული. 2018 წელს საქართველოს მთავრობამ სახელმწიფო უწყებებს შავი ფერის ავტომობილების შეძენა შეუზღუდა, თუმცა ეს ინიციატივა, უფრო საზოგადოებაში ე.წ. "შავი ჯიპებისადმი" არსებული ნეგატიური განწყობასთან იყო დაკავშირებული, ვიდრე სახელმწიფო ავტოპარკის ოპტიმიზაციის სურვილთან.

ბიუროკრატიული აპარატის და ხარჯების ეფექტიანი ოპტიმიზაცია, მოიაზრებს არსებული ავტოპარკის მოცულობის რაციონალურ ნიშნულამდე დაყვანას. შესაბამისად, საინტერესოა ამ კუთხით 2017 წლის დეკემბერში სამინისტროების გაუქმება/გაერთიანების ანალიზი. ამ მიზნით IDFI-მ 2017 წლის თებერვალში სამინისტროებიდან მიღებული ინფორმაცია, ბალანსზე რიცხული ავტომობილების შესახებ, შეადარა 2018 წლის მაისის მდგომარეობით არსებული ავტოპარკის მონაცემებს.

2017 წელს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბალანსზე ირიცხებოდა 17, ხოლო სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბალანსზე - 87 ავტომობილი (ჯამში 104 ავტომობილი). სამინისტროების გაერთიანების შემდეგ, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბალანსზე ირიცხება 6-ით ნაკლები, 98 ავტომობილი. თუმცა, როგორც ცნობილია ბუნებრივი რესურსების დაცვის კომპონენტი გადაეცა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რომლის ავტოპარკის შესახებ ინფორმაცია ინტიტუტს არ გააჩნია.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცენტრალური აპარატების ბალანსებზე 2017 წელს ირიცხებოდა 60 ავტომობილი, ხოლო სტრუქტურული ცვლილებების შემდეგ 52 ერთეული ავტომობილი. ავტოპარკის შემცირება უმეტესწილად განაპირობა, სამინისტროების გაერთიანების შედეგად ისეთი თანამდებობის გაუქმებამ რომლებზეც განპიროვნებული იყო ავტომობილები.

მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული სამინისტროების მაგალითზე სტრუქტურულმა ცვლილებებმა ავტოპარკის მოცულობა გარკვეულწილად შეამცირა, მის ოპტიმალურ ზომასთან დაკავშირებით კვლავ მნიშვნელოვანი კითხვები არსებობს. ამასთან, ინსტიტუტი არ ფლობს ინფორმაციას სამინისტროების ბალანსიდან მოხსნილი ავტომობილების შემდგომი განკარგვის შესახებ. ინსტიტუტი იმედს გამოთქვამს, რომ ახალი პრემიერის მიერ დაპირებული ინიციატივები უზრუნველყოფს სახელმწიფო ავტოპარკის ოპტიმალურ ნიშნულამდე დაყვანას.

სურათი #8 - 2017 წლის დეკემბერში განხორციელებულ სტრუქტურულ ცვლილებამდე და ცვლილებების შემდეგ სხვადასხვა სამინისტროს ავტოპარკის მოცულობა

	ავტომობილების რაოდენობა 2017 წლის თებერვლის მდგომარეობით		ავტომობილების რაოდენობა 2017 წლის მაისის მდგომარეობით
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	17	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	98
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	87	გარემოს დაცვის სამინისტროს ბუნებრივი რესურსების მართვის კომპონენტი + სოფლის მეურნეობის სამინისტრო	
სულ	104	სულ	98
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	15	კულტურისა და სპორტის სამინისტრო	23
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	18	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო + სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო (სპორტის კომპონენტი)	
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	27	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	29
		+ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა	

		სამინისტრო (ახალგაზრდობის კომპონენტი)	
სულ	60	სულ	52

შეჯამება

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საწყისი 5 თვის შესრულების მაჩვენებლების ანალიზმა აჩვენა, რომ 2017 წლის დეკემბრის თვეში საქართველოს მთავრობის მიერ დაწყებული სამინისტროების გაუქმება/გაერთიანების შედეგად, ბიუროკრატიული ხარჯები არ შემცირდა, ხოლო გაერთიანების შედეგად ზოგიერთი უწყების შემთხვევაში, ბიუროკრატიულმა ხარჯებმა 2017 წელთან შედარებით პირიქით მოიმატა. სამინისტროების გაერთიანების ანალიზმა აჩვენა, რომ 2017 წლის დეკემბრის თვეში ადგილი ჰქონდა უწყებების ფუნქციურ გაერთიანებას, რასაც ბიუროკრატიის ოპტიმიზაციასთან კავშირი არ ჰქონია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2017 წლის დეკემბერში დაწყებული სამინისტროების რეორგანიზაციის პროცესი წინასწარი გათვლების გარეშე წარიმართა. ამასთან, საქართველოს ხელისუფლებამ, დაპირების მიუხედავად, ვერ უზრუნველყო რეფორმის შედეგების შესახებ საზოგადოების თანმიმდევრული ინფორმირება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს “მცირე მთავრობის” კონცეფციის ფარგლებში სტრუქტურული რეფორმის მეორე ეტაპის მიზანშეწონილობის განსაზღვრას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრემიერ მინისტრის მიერ ინიცირებული სტრუქტურული ცვლილებებით იგეგმება არსებული ბიუროკრატიული ხარჯების შემცირება, საზოგადოებისთვის სამწუხაროდ კვლავ უცნობია რეფორმის დეტალური ფინანსური გათვლები. შესაბამისად, ამ ეტაპზე რთულია იმის განსაზღვრა, თუ რის ხარჯზე მოხდება ქვეყნის ეკონომიკაზე ბიუროკრატიული ტვირთის შემცირება.